# 41 ქართული ოცნება

**განვითარება ყველა რეგიონს**



## ძვირფასო ჭიათურელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ჭიათურის მერობის კანდიდატისა და ჭიათურის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ჭიათურის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჭიათურა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ჭიათურის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10. 7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ჭიათურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს ჭიათურის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 10,4 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმით – 18,4 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 2,1 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმით, საპროგნოზო მაჩვენებელი 24,2 მლნ ლარია.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ჭიათურის მუნიციპალიტეტში,** 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამით **„დანერგე მომავალი“** 21 ჰექტარზე განახორციელა 47 პროექტი (ჯამურად 487 854 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 124 ჰექტარი, რითაც 218-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით მოქმედებს 19 კოოპერატივი. პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 116 ჰექტარი (288 310 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 24-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 1 012 098 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 118 670 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (3 პროექტი ჯამურად 174 081 ლარი, თანადაფინანსება 118 507 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (1 პროექტი 100 000 ლარი, თანადაფინანსება 50 000 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიებები**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 740 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 8 250 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1. 2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარების და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 522 683 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 660 960 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 78 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 30, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 48 პროექტი).

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.** „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

**იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური: ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი; **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი; **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი; **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი. **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

ჭიათურაში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 4 283 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით, 2022-2024 წლებში, ეტაპობრივად 22 სოფლის გაზიფიცირება იგეგმება (ჯამურად 7 340 აბონენტი). 2013-2017 წლებში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 11410 აბონენტს დაუმონტაჟდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

- **ტურიზმის განსავითარებლად,** ჭიათურაში, განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევა და დაგეგმვა. 2017 წელს დასრულდა კაცხის მონასტრისა და კაცხის სვეტის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; შეიქმნა ტურისტებისთვის საინფორმაციო ცენტრი.
- მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;
- სახელმწიფოს მხრიდან მომავალ წლებში გაგრძელდება ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები.

### ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

**ჭიათურაში, 2014-2021 წ. წ.** ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 68 ათასი კუბ. მ **მერქნული რესურსი,** დამატებით გაკეთდა ტყის მასივებიდან მერქნული რესურსის გამოსატანად საჭირო ახალი გზის 1,5 კმ, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 24 კმ გზას. **ჭიათურა-საჩხერის სატყეო უბნის** ტერიტორიაზე, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3 600 კუბ. მ ხე-ტყე.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

### ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში ჭიათურაში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ჭიათურაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 30 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 6, 845 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ჭიათურის 39 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 7 592 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ჭიათურაში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 45 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, შედეგად 10,000-მდე აბონენტს 24 საათი მიეწოდება სასმელი წყალი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ან დაგეგმილია: ქ. ჭიათურაში, ფანცულაიას ქუჩის, სოფ. პერევისას 30 ოჯახის, საჩხერის გზატკეცილზე №20–№24 კორპუსებისა და მიმდებარე ობიექტების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება/მშენებლობა (ჯამურად 1 480 264 ლარი).

**ჭიათურაში, საბაგირო ხაზების აღდგენისა და სატრანსპორტო ჰაბის მოწყობის მიზნით, 2020 წელს დასრულდა 2 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება 11 მლნ ლარს აჭარბებს:** ძველი საბაგირო სადგურებისა და საბაგირო-სატრანსპორტო სისტემების სადემონტაჟე სამუშაოები და ახალი რევერსული გონდოლებიანი საბაგიროს ობიექტების სამშენებლო სამუშაოები (8 251 373 ლარი); მუხაძის ხაზის საბაგირო გზის რეაბილიტაცია (2 837 073 ლარი).

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# 2021-2022 წლებისთვის, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. მოხოროთუბანი, ს/გზის რეაბილიტაცია – 704 066 ლ;
- სოფ. მერევი-ნიგოზეთის (ბირთველიშვილების-წერეთლების) ს/გზის რეაბილიტაცია – 743 088 ლ;
- სოფ. ნიგოზეთი საუბნო გზის რეაბილიტაცია – 350 291 ლ;
- სოფ. რცხილათი, ს/გზის რეაბილიტაცია – 469 157 ლ;
- სოფ. ზოდი-ზედუბნის ს/გზის რეაბილიტაცია – 1 028 424 ლ;
- სოფ. მეჩხეთური, ცენტრალური ს/გზის რეაბილიტაცია – 735 000 ლ;
- გურაბანიძეებიდან სოფელ ვაკევისამდე გზის რეაბილიტაცია – 295 255 ლ;
- სოფ. წყალშავი, ქვრივიშვილების უბანში გზის მობეტონება – 41 245 ლ;
- სოფ. უსახელო, მგლების უბანში მისასვლელი გზის მობეტონება – 81 957 ლ;
- სოფ. უსახელო, წერეთლების უბანში მისასვლელი გზის მობეტონება – 39 273 ლ;
- სოფ. ბერეთისა, ქვედა კვიჟინაძეების გზის მობეტონობა – 40 034 ლ;
- სოფ. რცხილათი, უფლისაშვილების უბანში გზის მობეტონება – 33 120 ლ;
- სოფ. ზოდი, ბოყოველების შემაერთებელი გზის მობეტონება – 52 116 ლ;
- სოფ. ზოდი-ქვედა ზოდის შემაერთებელი გზის მობეტონება – 49 917 ლ;
- სოფ. ქვედა ჭალოვანი, ზედა ხვედელიძეების უბნის გზის მობეტონება – 33 698 ლ;
- სოფ. სარქველეთუბანი, ეკლესიის გზის მობეტონება – 39 466 ლ;
- სოფ. თაბაგრებისა და ბუნიკაურის გზის მობეტონება – 49 143 ლ;
- სოფ. წირქვალი, კაციტაძეების უბანში გზის მობეტონება – 40 545 ლ;
- სოფ. ითხვისი, ბიბიაშვილების უბანში გზის მობეტონება – 25 868 ლ;
- სოფ. ითვისი, ლომიძეები-ჩუბინიძეების უბანში გზის მობეტონება – 30 302 ლ;
- სოფ. ითვისი, ღავთაძე-ნადირაძეების უბანში გზის მობეტონება – 25 553 ლ;
- სოფ. მორძგვეთი, ღვალაძეების უბნის გზის მობეტონება – 35 077 ლ;
- სოფ. ნავარძეთი, სერისუბნის გზის მობეტონება – 35 536 ლ;
- სოფ. კაცხი, ხარატიშვილების უბნის გზის მობეტონება – 34 332 ლ;
- სოფ. უსახელო, მთავარანგელოზის ეკლესიის გზის მობეტონება – 220 000 ლ;
- სოფ. უსახელო, სამხარაძეების უბანი, ეკლესიის გზის მობეტონება – 33 086 ლ;
- სოფ. მეჩხეთური, ქბილარის უბანში გზის მობეტონება – 41 243 ლ;
- სოფ. ითხვისი, ცენტრალური გზიდან ადმინისტრაციულ შენობამდე , ამბულატორიამდე და საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის მობეტონება – 79 861 ლ;
- სოფ. სვერი, ლოჟღეეთის უბნის გზის მობეტონება – 100 160 ლარი;
- სოფ. ვაჭევი, ბუკეების უბნის გზის მობეტონება – 36 026 ლ;
- სოფ. ღვითორი, ამბლუაშვილების უბანში გზის მობეტონება – 31 398 ლ;
- სოფ. მსხლოვანი, მოდებაძეების უბანში გზის მობეტონება– 33 557 ლ;
- სოფ. მორძგვეთი, კაპანაძეები-ღელისუბანში გზის მობეტონება – 156 467 ლ;
- სოფ. ხრეითი, ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმამდე გზის მობეტონება – 80 000 ლ;
- სოფ. ხრეითი, შეყილაძეები-გულიტაშვილების უბნის გზის მობეტონება – 80 000 ლ;
- სოფ. ხრეითი, სამაკაშვილების უბნის გზის მობეტონება – 92 999 ლ;
- სოფ. უსახელო, აბესაძეების უბნის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა – 111 541 ლ;
- სოფ. ეწერი, კუპატაძეების უბანი, გზის საფარის მოწყობა – 83 528 ლ;
- სოფ. ზედა ჭალოვანი, პანტელას უბანში ბეტონის საფარის მოწყობა – 29 098 ლ;
- სოფ. კალაური, დარბაიძეების უბანში გზის მობეტონება – 49 510 ლ;
- სოფ. ითხვისი, 32-ის დასახ. ითხვისის მაღაროდან დარბაიძეების ბოლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 100 000 ლ;
- სოფ. ითხვისი, კობერიძეები-მახათაძეები-დვალაშვილების გზის მობეტონება-113 213 ლ;
- სოფ. დარკვეთა, ბაქრაძეების უბანში გზის მობეტონება – 38 528 ლ;
- სოფ. ზოდი, გაბესკელიანების უბანში გზის მობეტონება – 50 160 ლ;
- სოფ. ზოდი, ბიდაურის საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა – 45 632 ლ;
- სოფ. ხრეითი, პაპიაშვილების უბანში გზის მობეტონება – 41 387 ლ;
- სოფ. ცხრუკვეთი, ტატიშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა – 55 166 ლ;
- სოფ. პერევისა, დევიძეების უბანში გზის მობეტონება – 31 772 ლ;
- სოფ. ჭილოვანი, მუხების უბნის გზის მობეტონება – 49 832 ლ;
- სოფ. წინსოფელი, ჩუბინიძეების უბანში გზის მობეტონება – 28 615 ლ;
- სოფ. წინსოფელი, ხიხაძეები-აბრამიშვილების უბანში გზის მობეტონება – 34 751 ლ;
- სოფ. თვალუეთი, კოდიწყლის უბნის მობეტონება – 67 659 ლ;
- სოფ. სვერი, მჭედლიშვილების უბანში გზის მობეტონება – 45 032 ლ;
- სოფ. ცხრუკვეთი, ქიპაშვილების უბანში გზის მობეტონება – 31 922 ლ;
- სოფ. სვერი, კვახების უბანში გზის მობეტონება – 45 709 ლ;
- სოფ. სვერი, ბათუსუბანში გზის მობეტონება – 67 391 ლ;
- სოფ. წყალშავი, ციცქიშვილების უბანი, გზის რეაბილიტაცი – 76 600 ლ;
- სოფ. ნავარძეთი, საუბნო გზის მობეტონება – 28 152 ლ;
- სოფ. თაბაგრები, ახალი დასახლების საუბნო გზის მობეტონება – 42 258 ლ;
- სოფ. თაბაგრები ეკლესიამდე მისასვ. ცენტრალური გზის მობეტონება – 30 002 ლ;
- სოფ. თაბაგრები, კენჭოშვილების (მთის უბნის) გზის მობეტონება – 40 432 ლ;
- სოფ. ზედა რგანი, სილების უბანში გზის მობეტონება – 32 124 ლ;
- სოფ. საკურწე, მამიაშვილები-გოსტიაშვილები-სარალიძეების უბანში გზის მოწყობა – 75 069 ლ;
- სოფ. ქვაციხე, ცხოვრებაძეების უბანში გზის მობეტონება – 61 323 ლ;
- სოფ. ითხვისი, ჩინჩალაძეების უბნის გზის მობეტონება – 63 069 ლ;
- სოფ. ნიგოზეთი, ომიაძეები-ლაბაძეების გზის მობეტონებ – 109 593 ლ;
- სოფ. ზედუბანი, ჭალისუბნის გზის რეაბილიტაცია – 30 800 ლ;
- ქ. ჭიათურა, ნიკოპოლის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობა – 200 000 ლ;
- ქ. ჭიათურა, გიორგაძის ქ. №6 ფასადის მოწყობა – 96 473 ლ;
- ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №15, საცხოვრებელი კორპუსის ფასადი – 112 065 ლ;
- ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №17, საცხოვრებელი კორპუსის ფასადი – 85 944 ლ;
- ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №9, საცხოვრებელი კორპუსის ფასადი – 87 010 ლ;
- ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №19, საცხოვრებელი კორპუსის ფასადი – 121 275 ლ;
- ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №21-23, საცხოვრებელი კორპუსის ფასადი – 143 355 ლ;
- ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №25, საცხოვრებელი კორპუსის ფასადი – 75 459 ლ;
- კულტურის ცენტრთან შადრევანის აღდგენის სამუშაოები – 195 720 ლ;
- ქ. ჭიათურა, გიორგაძის ქ. №1 სკვერის მოწყობა – 143 589 ლ;
- ქალაქის შემოსასვლელთან, ნავარძეთთან სკვერებისა და გადასახედის მოწყობა – 190 000 ლ;
- ქ. ჭიათურა, ტერასული სკვერის მოწყობა – 200 000 ლ;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმ. შენობის სველი წერტილების მოწყობა – 51 424 ლ;
- სოფ. სვერი, ჩისტიეების უბანში გზის მობეტონება – 44 061 ლ;
- სოფ. საკურწი, ბედინაშვილების უბანში გზის მობეტონებ – 40 800 ლ;
- სოფ. ნიგოზეთი, კუპატაძეები-ლაბაძეების გზის რეაბილიტაცია – 88 450 ლ;
- სოფ. წირქვალი, ბონდის უბანში გზის რეაბილიტაცია – 32 764 ლ;
- სოფ. წირქვალი, მაჭარაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია – 91 810 ლ;
- სოფ. ზოდი, ბონდისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია – 34 125 ლ;
- ქ. ჭიათურა, ანძის უბანში გზის რეაბილიტაცა – 36 972 ლ;
- სოფ. რგანი, ჯვარჭალა-აბესაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია – 34 231 ლ;
- სოფ. წასრი, ცენტრალური გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა – 212 380 ლ;
- სოფ. პერევისა, ბარელაძეების უბანი, ს/გზის საფარის რეაბილიტაცია – 66 979 ლ;
- სოფ. ზედა ბერეთისა, ტაბატაძეების უბნის გზა გრიგალაშვილების უბნის წყარომდე გზის რეაბილიტაცია – 220 000 ლ;
- სოფ. ვანში ცენტრალური გზის მობეტონება – 69 390 ლ;
- სოფ. ბიღა, გოგსაძეების საუბნო გზის მობეტონება – 31 457 ლ;
- სოფ. კაცხში სასაფლაოს გზის(მსხლოვანის უბნის) მობეტონება – 37 713 ლ;
- სოფ. ვაჭევი, ხერგულის უბანში გზის მობეტონება – 310 171 ლ;
- სოფ. მელუშეთი, დაბლაუბნის გზის მობეტონება – 71411 ლ;
- სოფ. ითხვისი, მეგრელიშვილების უბნის გზის მობეტონება – 46 687 ლ;
- სოფ. სვერი, ხოსიკიშვილებამდე მიმავალი გზის მობეტონება – 33 928 ლ;
- სოფ. ბჟინევი, მისასვლელი საუბნო გზის მობეტონება – 50 000 ლ;
- სოფ. გუნდაეთი, ო. მაჩაიძის სახლიდან აბრამიშვილებამდე გზის რეაბილიტაცია – 148 028 ლ;
- სოფ. ნიგოზეთი, მასწავლებლის სახლთან გზის რეაბილიტაცია – 54 003 ლ;
- აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.



# გივი მოდებაძე: „მინდა, მომავალი 4 წელი მივუძღვნა ჭიათურის ტურისტულად განვითარებას“

**„მერობა შანსია, ჭიათურელებისთვის არაერთი სასიკეთო საქმე ვაკეთო და მუნიციპალიტეტის განვითარებაში მცირედი წვლილი შევიტანო“, – ამბობს გივი მოდებაძე. ჭიათურის განვითარებაში წვლილი მას შემდეგ შეაქვს, რაც მერი გახდა. ამჯერად, ისევ იბრძვის მერობისთვის. პანდემიის მიუხედავად, მისი მერობის დროს, მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი უკვე განხორციელდა, თუმცა უფრო მეტი დაგეგმილ-დასაწყებია. სწორედ ესაა საარჩევნო მარათონში ჩართვის მთავარი მიზეზი – ყველა საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს, ყველა გეგმა სისრულეში მოიყვანოს!**

**ამ გეგმებში ერთ-ერთი უმთავრესი ჭიათურის ტურისტული პოტენციალის გამოყენებაა. ამბობს, რომ მომდევნო 4 წელი ჭიათურის ტურისტული განვითარებისთვის თავდაუზოგავად იშრომებს. დარწმუნებულია, რომ ამის საშუალება ისევ მიეცემა და ჭიათურელები კვლავ დაუჭერენ მხარს. ამისთვის, ცნობილი ოჯახის, ცნობილი მსახიობის, გივი მოდებაძის მოსახელე შვილიშვილმა, უკვე საკმაო დივიდენდი დააგროვა.**

**– ბატონო გივი, თქვენი აზრით, გუნდმა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ ნდობა და ჭიათურის მერობის კანდიდატად დაგასახელათ?**

– გუნდის ძალიან დიდი მადლობელი ვარ, რომ ასეთი პასუხისმგებლობა დამაკისრა. ალბათ „ქართულ ოცნებაში“ შეაფასეს ჩემი მუშაობა, იფიქრეს, რომ მაქვს უნარი, ბევრი საქმე უფრო კარგად გავაკეთო და აქედან გამომდინარე, ნდობა ისევ გამომიცხადეს. ჭიათურაში დღეს კარდინალურადაა შეცვლილი მდგომარეობა და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

**– რა ცვლილებებია ჭიათურაში და განხორციელებული პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?**

– ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ საუკუნოვანი საბაგიროების პროექტი, ჩემი მერობის პერიოდში დასრულდა. გარდა ამისა, დაიწყო ქალაქის მოსახლეობის 24-საათიან წყალმომარაგებაზე გადაყვანა. ეს პროექტიც განვახორციელეთ და დღეს ჭიათურას, უწყვეტად მიეწოდება გაფილტრული ხარისხიანი წყალი. შეიქმნა ასევე შპს „სოფლის წყალი“, რომელიც მუშაობს სოფლად წყლის გაუმჯობესებაზე. ახალი შექმნილია ეს კომპანია, მაგრამ უკვე გარკვეული შედეგები გვაქვს. გაკეთდა მუნიციპალიტეტის სოფლების რუკა და ეტაპობრივად, წერტილოვან სამუშაოებს ვასრულებთ. ასევე შეიქმნა ახალი სატრანსპორტო კომპანია, რომლის ფარგლებშიც, ყველა სატრანსპორტო საშუალება მოექცა ერთ რგოლში. მნიშვნელოვანია, რომ დავიწყეთ ცენტრალური ქუჩების მოწესრიგება და ერთ-ერთი პირველი პროექტი, მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაცია, შარშან დავასრულეთ, რასაც მოსახლეობაში ძალიან დიდი გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა. ეს ფაქტობრივად, ჩვენი პირველი სავიზიტო ბარათი იყო. მოვაწესრიგეთ ინფრასტრუქტურა. დაახლოებით 120 კილომეტრზე მეტი გზა არის დაგებული; ქალაქის ცენტრალურ ადგილზე დაწყებულია არაერთი პროექტი: გამარჯვების პარკის, კულტურის სახლისა და კინოს მიმდებარე ტერიტორიის, ქორწინების სახლის რეაბილიტაცია. რამდენიმე ახალი სკვერი გვაქვს და ახალი გადმოსახედი ექნება ქალაქს შემოსასვლელში, სადაც არის ყველასთვის ცნობილი ტრაფარეტი „ჭიათურა“. დავგეგმეთ ასევე სხვადასხვა კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება, რომელიც აუცილებელი იყო. რაც მთავარია, ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვქონდა მოსახლეობასთან. პანდემიის მიუხედავად, ავდიოდით სოფლებში, ვუსმენდით მათ, ვაგროვებდით ინფორმაციას მათი საჭიროებების შესახებ და მომავლის გეგმებსაც მათთან ერთად ვსახავდით.

**– პანდემია ახსენეთ და მისი მართვის ფარგლებში რა სახის აქტივობები დაიგეგმა მუნიციპალიტეტში?**

– პანდემიის დროს ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარეთ. სოლიდური თანხების მობილიზება მოვახდინეთ და გავეცით ერთჯერადი დახმარებები, საჭიროების შემთხვევაში დავეხმარეთ პროდუქტებით, მედიკამენტებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით. ცხადია, ვაგრძელებდით მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების განხორციელებას. ჩვენ გვაქვს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, მოქალაქეს, საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსების მიღების შემდეგ დარჩენილი გადასახდელი თანხის 50%-ს ვუფინანსებთ. ასევე ვეხმარებით იმ ადამიანებს, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვერ სარგებლობენ. ვფიქრობ, ეს კარგი პროგრამაა, რადგან ადამიანის ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესია. გვაქვს პროგრამები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, მძიმე დაავადებების მქონე ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც წლიურად 200-ლარიან დახმარებას ვაძლევთ. ვფიქრობ, საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ და ჭიათურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით.






დაიბადა 1977 წლის 18 აგვისტოს, ქალაქ ჭიათურაში. 1995 წელს დაამთავრა ჭიათურის №2 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, ფინანსისტის სპეციალობით.

პარალელურად, 1997-2000 წლებში, მუშაობდა დაზღვევის სახელმწიფო ფონდში, ასევე სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში, ბუღალტრის და ეკონომისტის, 2004 წლამდე კი ინსპექტორის პოზიციაზე. 2004-2009 წლებში იყო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის რაიონული ფილიალის უფროსი. ბიზნესსაქმიანობის შემდგომ, 2013 წელს დაბრუნდა სახელმწიფო სამსახურში - 2017 წლამდე ხელმძღვანელობდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონულ განყოფილებას. 2017 წელს დაინიშნა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ საფინანსო, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის მიმართულებით, ხოლო 2018 წელს იყო მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი და დღემდე არის ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**– მნიშვნელოვანი ნაბიჯები თუ გადადგით ტურიზმის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, ეს სფერო ხომ თქვენი აზრით, ჭიათურის განვითარების პერსპექტივაა?**

– მოგეხსენებათ, ქალაქის წარმოშობა და შემდგომი განვითარება განაპირობა მდინარე ყვირილის ხეობაში არსებული მანგანუმის მადნის საბადოს ბაზაზე წარმოქმნილმა მრეწველობამ. მანგანუმის საბადო ჭიათურაში პირველად გერმანელმა გეოლოგმა, აკადემიკოსმა ჰერმან აბიხმა აღმოაჩინა 1846 წელს და მაღალი შეფასება მისცა მას. მანგანუმის მადნის მოპოვება და მისი სამრეწველო დამუშავება მოგვიანებით, 1879 წლიდან დაიწყო და იგი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც ევროპას გააცნო ქართული „შავი ოქრო“. მუნიციპალიტეტის განვითარებას უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს მანგანუმის მრეწველობა. თუმცა ქალაქს გააჩნია სხვა რესურსებიც, რომელიც დღეს, მისი მდგრადი განვითარების გზების ძიებისას, მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდესი პოტენციალია – არის სოფლები და მიწის ფართობი, სადაც მარგანეცი საერთოდ არ მოიპოვება. აქ კენკროვანი კულტურების განვითარება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღება შეიძლება. და რა თქმა უნდა ჭიათურის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს. 100-ზე მეტი სხვადასხვა მღვიმე, უძველესი ტაძრები, ციხეებია ჩვენთან. ტურისტული სფეროს განვითარებას ჩვენ რაღაც საფუძვლები უკვე ჩავუყარეთ, მიუხედავად პანდემიისა. სკვერში, სადაც საბაგირო უნდა ავიდეს, „ჯორჯიან მანგანეზთან“ ერთად ვაკეთებთ გიგანტურ ე. წ. ეშმაკის ბორბალს და გასართობ სივრცეს. რამდენიმე ატრაქციონი უკვე დამონტაჟებულია. აქ იქნება ულამაზესი ტურისტული სივრცე. კაცხის სვეტზე ძალიან ბევრი სამუშაო უკვე ჩატარდა, გზის საფარი იცვლება მთლიანად, მოეწყობა პარკირების ადგილი. დაგეგმილია მღვიმევის დედათა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება. ვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას

ძუძუანას უნიკალურ მღვიმესთან, სადაც აღმოჩენილია პრეისტორიული ხანის უძველესი სელის ძაფი მთელ მსოფლიოში. გვაქვს ყინულის გამოქვაბული, სადაც ზამთარ-ზაფხულ ერთიდაიგივე ტემპერატურაა. გვაქვს უნიკალური ტბები და ასევე, ჩვენი ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლიდან, ხრეითიდან, 15 კმ-ში უკვე რაჭაში გადადიხარ. ეს ნიშნავს, რომ ტურისტულად ამ მხარის განვითარება შეიძლება. ტურისტულად ჩვენი მუნიციპალიტეტი უნდა განვითარდეს. მიხარია, რომ ამის საფუძველი უკვე ჩაყრილია. მინდა, მომავალი 4 წელი მივუძღვნა ჭიათურის ტურისტულად განვითარებას. აუცილებელია ჭიათურის პოპულარიზაცია. ამ მიზნით, ჩვენი დაფინანსებით, შეიქმნა მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის წიგნი ჭიათურაზე, სადაც აღმოჩენიდან, აკაკი წერეთლით დაწყებული, ტექნიკური ინტელიგენციით გაგრძელებული და მარგანეცის მოპოვებით დასრულებული, საინტერესო ინფორმაცია და უნიკალური ფოტომასალაა. წიგნს დავუგზავნით დიპლომატიურ კორპუსს, რათა ჭიათურაზე კიდევ უფრო სხვა წარმოდგენა შეექმნათ. აქედან გამომდინარე შეიძლება სხვადასხვა სახის პროექტების შესახებ იდეები გაჩნდეს. ვაკეთებთ ასევე მუზეუმ-კორტს – მოგეხსენებათ, საქართველოში ჩოგბურთის პირველი კორტი სწორედ ჭიათურაში ააშენეს, გამოჩენილი ინგლისელი ჩოგბურთელი, იან ჰომერი აქ თამაშობდა და აკაკი წერეთელი ესწრებოდა ხოლმე თამაშებს. მუზეუმ-კორტი წლის ბოლომდე უნდა გაიხსნას. ჩემი მიზანია, ჭიათურა იყოს ტურისტულად მიმზიდველი.

**– ამას ხელს ეკოლოგიური მდგომარეობაც უნდა უწყობდეს. რა ვითარებაა ამ მხრივ ჭიათურაში და თქვენ, როგორც მერს, რა დოზით გქონდათ ურთიერთობა „ჯორჯიან მანგანეზთან“?**

– რა თქმა უნდა, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. „ჯორჯიან მანგანეზთან“ აქტიურად ვთანამშრომლობდით იმ საკითხების მოსაგვარებლად, რაც ჭიათურის მოსახლეობას აწუხებდა. კომპანიამ შექმნა დასუფთავების სპეციალური სამსახური, შეიძინა 4 ერთეული სპეცტექნიკა. 2 მტვერსასრუტის პრინციპით იღებს მტვერს გზიდან და 2 წყლის ჭავლით რეცხავს. ჭიათურის ქუჩებს ყოველ დილით ასუფთავებენ. გარდა ამისა, შეთანხმების საფუძველზე, ქალაქის ტერიტორიაზე აღარ ხდება მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილება. ყველაზე მთავარი არის ის, რომ მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, „ჯორჯიან მანგანეზსა“ და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც ითვალისწინებს რიგი ეკოლოგიური პრობლემების მოხსნას და პირველი არის ყვირილის გათეთრება-დასუფთავება. არ უნდა ჩაედინებოდეს ეს მძიმე, გარეცხილი მარგანეცის მავნე ნივთიერებები მდინარეში. ყოველთვის ყვირილაში ირეცხებოდა მარგანეცი და ეს მემორანდუმი უმნიშვნელოვანესი ამიტომაცაა. მონიტორინგს აქტიურად ვაწარმოებთ – კვირაში ერთხელ ვიკრიბებით. მემორანდუმში ასევე არის ჩადებული ვალდებულებები, რაც ითვალისწინებს, ღია კარიერული მოპოვებით მიღებული 400 ჰა-ზე მეტი ტერიტორიის რეკულტივაციას. მემორანდუმში ასევე არის საუბარი ქალაქში განთავსებული ქარხნების ქალაქგარეთ გატანაზე. მერია შუამავლის როლს ასრულებს კომპანიასა და იმ ადამიანებს შორის, ვინც მის მიმართ გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამენ. ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტის და ჩემი საყვარელი ქალაქის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გავაკეთებ. აქ დავიბადე და გავიზარდე. ჩემს ოჯახს აქ ყველა იცნობს, ჩემი შვილი აქ იზრდება და აქედან წასვლას არსად ვაპირებ.

**– ჭიათურაში თქვენი ოჯახი რით არის ცნობილი?**

– ბაბუაჩემი, გივი მოდებაძე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი და ქალაქ ჭიათურის საპატიო მოქალაქე იყო. არაერთ ფილმში, მათ შორის, „შერეკილებში“ „სამანიშვილის დედინაცვალში“, „ქორწინება იმერულად“ და ა. შ. თამაშობდა და ხალხს ძალიან უყვარდა. მე მის სახელს ვატარებ და ამით ძალიან ვამაყობ. მამა იყო ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს მთავარი ბუღალტერი. დედა უცხო ენების – გერმანული ენის სპეციალისტია. ბავშვობა ჭიათურაში მაქვს გატარებული. ბაბუას გადაღებებზეც დავყავდი ხოლმე. მახსოვს, ერთხელ ანაკლიაში ვახლდი, რეჟისორი იური კვაჭაძე ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიის მიხედვით იღებდა ფილმს „წინამორბედი“. ბაბუამ ეპიზოდურ როლში წამიყვანა. 80-იანი წლების ბოლო იყო. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა გადასაღებ მოედანზე სხვადასხვა სცენებმა. თუმცა იმ პერიოდში, ვფიქრობდი, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ სხვა პროფესიას დავეუფლებოდი და ამიტომ ფინანსები და საბანკო საქმე ავირჩიე. შეიძლება ითქვას, პრაგმატული გათვლა გავაკეთე. ვფიქრობ, ჩემი საქმიანობითაც დავამახსოვრე თავი ხალხს და მომავალშიც არ დავიშურებ ძალას და ენერგიას, ჭიათურის განვითარებისთვის, კიდევ უფრო უკეთესი ხვალინდელი დღის და ჯანსაღი საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის.

**– იმისიც გჯერათ, რომ 2 ოქტომბერს, ჭიათურის მოსახლეობა ხმას ისევ მოგცემთ და ზოგადად, როგორ არჩევნებს ელოდებით?**

– „ქართულმა ოცნებამ“ დამანახა, როგორ შეიძლება განვითარდეს ქვეყანა, როგორ შეიძლება ამდენი ზეწოლის და გამოწვევის მიუხედავად, არ დანებდე, იბრძოლო და ბევრი კარგი საქმე გააკეთო. ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. მე მჯერა ამ გუნდის! მაქვს მოლოდინი, რომ ეს არჩევნები მშვიდ, სამართლიან გარემოში ჩატარდება და დარწმუნებული ვარ, პირველივე ტურში დამაჯერებლად გავიმარჯვებთ.



## მოდებაძეების ოჯახის „კომფორტის ზონა“

დაახლოებით 19 წლის წინ, გივიმ და ნინომ ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს. როცა ვკითხე, თბილისელი გოგო რით მოხიბლეთ-მეთქი, იუმორის საოცარი ნიჭით დაჯილდოებულმა სიცილით მიპასუხა: „ეგ კი არასდროს მიკითხავს, მაგრამ ფაქტია, მოვხიბლე – მყარი ოჯახი და შვილი გვყავს“. კანდიდატმა, 18-წლიანი ოჯახის სიმტკიცის საიდუმლოც გაგვიმხილა – სიყვარული, ნდობა, ერთგულება!

ქალბატონი ნინო პროფესიით იურისტია. სანამ ბატონი გივი ჭიათურის მერიაში გადავიდოდა, ინფრასტრუქტურის სამსახურში მუშაობდა. ქმრის დაწინაურების შედეგად, ცოლი „ჩამოლაბორანტდა“. უნებურად დავჩაგრე, მაგრამ არ მსაყვედურობს, ჩემი დიდი გულშემატკივარი და დასაყრდენიაო – ამბობს კანდიდატი.

წყვილს ნანატრი შვილი ჰყავს – მარიამი. 7 წელი ელოდნენ. ის განცდა, როცა პირველად გაიგო, მამა გახდებოდა, ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება. „ცრემლები წამომცვივდა. თავს ვერ ვიკავებდი. იმ ემოციას ვერ აღგიწერთ, სიტყვები არ მეყოფა“, – იხსენებს გივი მოდებაძე და იმასაც გვიმხელს, რომ ამაზე კიდევ უფრო დიდი ემოცია ახალშობილი მარიამის პირველი ჩახუტება იყო – „აი მაშინ, შემეძლო ყველა დანარჩენზე უარი მეთქვა. მივხვდი, რომ ის იყო ჩემი ბედნიერება, ჩემი სამყარო“.

მამიკოს „სამყარო“ 11 წლისაა. უცხო ენების შესწავლის ნიჭი აქვს. კარგად იცის ინგლისური, რუსული და გერმანულსაც ეუფლება. არაჩვეულებრივად მღერის. მამა პანდემიამდე ჩატარებულ ყველა მის კონცერტს ესწრებოდა. ყველაზე ამაყი კი მაშინ იყო, როცა „ჭიათურლობაზე“ მარიამმა მის საყვარელ, მშობლიურ ქალაქს უმღერა.

ჭიათურასთან ახლოს პატარა აგარაკი აქვთ, რომელიც თავის დროზე სახელმწიფომ მის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ბაბუას გადასცა. ეს მოდებაძეების ოჯახის კომფორტის ზონაა, რომელსაც ხშირად სტუმრობენ. აქ ოჯახის წევრებთან დროის გატარების საშუალება, ან საკუთარ თავთან განმარტოების ფუფუნება აქვს. აქ ყველაზე უკეთ შეუძლია განვლილ ცხოვრებას თვალი გადაავლოს, მომავალი გეგმები დასახოს და ახალი იდეებიც დაებადოს, მშობლიური ჭიათურის გასაძლიერებლად.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99. 9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში,

**საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ქიათურის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილი 60 419 361 ლარით დაფინანსდა 102 020 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 611 125,3 ლარით 181 823 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 401 760 ლარით 54 866 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (39 739 567 ლარით 28 656 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (8 961 963 ლარით 8 153 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 421 284 ლარით 4 123 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 135 644 ლარით 4 946 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ქიათურის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 12 172 ბენეფიციარი (806 447 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24. 1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ქიათურის მუნიციპალიტეტში** 92%-დან 99 %-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ქიათურაში,** სტაციონარული მკურნალობით 183-მა (638 883 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1368-მა პაციენტმა (171 876 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13. 1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 6 764 ორსული (358 333 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილი 1932.




2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C-ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ქიათურის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 909 პირი (191 910 ლარი).

2012 წლის შემდეგ, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ქიათურაში,** 2013-2021 წლებში, სულ 1128 შემთხვევა 1 513 923 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ქიათურის მუნიციპალიტეტს 65 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

**ქიათურის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ამბულატორიების მშენებლობა/სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია** სოფლებში: ნიგოზეთი, ხვაშითი, სარქველეთუბანი, უსახელო, მელუშეეთი, ითხვისი, წასრი, გუნდაეთი, ვაჭევი, ქვედა ბერეთი, თვალუეთი, ღვითორი, მეჩხეთური, სვერი, მღვიმევი, მერევი, ზედა ბერეთი,

ზოდი, ქვაციხე, მიდინარეობს ჭილოვანის ამბულატრიის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 167,1 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 101,6 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტი 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში, ახორცილებს** მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მონიტორინგისა და ეპიდზედამხედველობის პროგრამას, რითაც 2019 წ. – 132 300 ლარით 23778 ბენეფიციარი დაფინანსდა, 2020 წ – 128. 185 ლარით – 14410 ბენეფიციარი, **პროგრამის** 2021 წ. ბიუჯეტი 140. 000 ლარია. 2022 წლიდან 2024 წწლამდე პროგრამის ბიუჯეტი 155 000 ლარიდან 170 000 ლარამდე გაიზრდება.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდი ლარიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ჭიათურის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01. 04. 2021 წ. მდგომ. ) 10 614 პირია. 2012 წლის შემდეგ 2,2 -ჯერ – 13 519 027-დან 29 105 214 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ 186 273 528 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ჭიათურაში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 მდგომ.) 100 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,8-ჯერ – 136 901-დან 521 692 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 679 733 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ჭიათურის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 3 464 ოჯახია (01. 04. 2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1,8-ჯერ – 4 155-დან 7 663 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 55 094 ათასი ლარი, მათ შორის: პენსიონრებზე – 13 802 ათასი, შშმ პირებზე – 4 638 ათასი, ბავშვებზე – 18 848 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ჭიათურაში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2221 მიზნობრივი ჯგუფი (01. 04. 2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,8-ჯერ – 673 918-დან 3 904 289 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 25 168 406 ლარი.

**ჭიათურის მუნიციპალიტეტში 266 დევნილია** (01/04. 2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 89 496-დან 144 585 ლარამდე (2020 წ. მონაც.) გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 146 278 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07. 2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ჭიათურის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 66 დევნილი ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 26 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 40 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ. წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ჭიათურაში,** დაფინანსებულია 334 ბენეფიციარი (1. 04,2021 წ. მდგომ. ), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 393 500 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 357 450 ლარი.



**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ. წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ჭიათურის მუნიციპალიტეტზე** – 4 485 186 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ჭიათურის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 2 418 ოჯახი, 2021 წელს (06. 2021 წ. მდგომ. ) – 2 616 ოჯახი.

**ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 599-მა პირმა, 2021 წელს (06. 2021 წ. მონაცემ.) – 629-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 562 პირი (2021 06. 2021 წ. მონაცემ. ) – 551.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამით,** დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი -2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

**2013 წელთან შედარებით 4,2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1733,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 412,3 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტი, 2012 წლიდან, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს 7 პროგრამას:** ავადმყოფთა სოციალური დაცვა. მოსახლეობის სოციალური დაცვა. უფასო სასადილო, დაკრძალვის ხარჯი, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება. ომის ვეტერანთა დახმარება. **2018-2021 წლებში სოციალურ პაკეტს დაემატა ახალი პროგრამები:** მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარება (წელიწადში 200 ლარი); ფსორიაზით დაავადებულ პირთა ერთჯერადი დახმარება (300 ლარი); მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობითი აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21 წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა (თვეში 120 ლარი); მარჩენალდაკარგული, უგზო-უკვლოდ დაკარგული და ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფი მშობლების სტუდენტი შვილებისთვის სწავლის საფასურის 50%-იანი თანადაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით; გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა და დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- შეიქმნება/დაიხვეწება და განვითარდება საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანომდებლობა; გაჩნდება და დაიხვეწება შრომითი მიგრანტების (ემიგრანტები/იმიგრანტები) უფლებების დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმები;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ. წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ქიათურაში ფუნქციონირებს 33 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 12 – ქ. ქიათურაში, ხოლო 21 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქიათურაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 6 მლნ 402,4 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის 3 მლნ 21 ათასი ლარი – სკოლამდელი განათლებისთვის, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 950 ათასი ლარი იყო.

**2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის: 2014-2016 წლებში** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ჭიათურის 5 საბავშვო ბაღს, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ქ, ჭიათურის 4 და მუნიციპალიტეტის სოფლების 15 საბავშვო ბაღს, რაზეც დაიხარჯა 1 მლნ 498,8 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან – 649,6 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფონდიდან – 849,2 ათასი ლარი). **2017 წელს** მუნიციპალიტეტის №№5, 6, 8, 9, 10, 11 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე 336,2 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს** სოფელ ითხვისში, 32-ის დასახლებაში, სკოლის შენობაში გამოიყო ფართობი, სადაც მოეწყო საბავშვო ბაღი (33 ათასი ლარი). **2019 წელს** განხორციელდა: ქ. ჭიათურის №5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (27, 9 ათასი ლარი); ქ. ჭიათურის №8 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (36, 9 ათასი ლარი). 2020 წელს განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 14 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი (სულ 500 ათასი ლარი), რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სამზარეულოების, პროდუქტების შესანახი ოთახებისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია.

**ახალი სასწავლო წლიდან,** ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ექსპლოატაციაში შევა 6 ახალი საბავშვო ბაღის განყოფილება. შენობები აშენდა ქვაციხესა და ქ. ჭიათურაში, ტყაბლაძის ქუჩაზე. ასევე ახალი საბავშვო ბაღები გაიხსნება სოფ. რცხილათში, ტყემლოვანასა და პერევისაში, ხოლო სოფ. ითხვისში, 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღის მშენებლობა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში (Design-Build მეთოდით, ასევე, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულსა და მერჯევში), განხორციელდა (საერთო ღირებულება 2 მლნ 245,5 ათასი ლარი).

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, საბავშვო ბაღებში 2013 წელთან შედარებით, აღსაზრდელთა რაოდენობა 1280-დან 1857-მდე გაიზარდა, კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე 0,9-დან 2,1 ლარამდე. საბავშვო ბაღებს სულ 111 აღმზრდელი, 38 ექიმი/ ექთანია და 33 ფსიქოლოგი ემსახურება. აღმზრდელთა ხელფასები, 220 ლარიდან 515 ლარამდე გაიზარდა. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 16 სკოლამდელ დაწესებულების (4 ქალაქში, 11 – სოფლად) 15 ჯგუფში. პროგრამაში ჩართულია 380 აღსაზრდელი. სასკოლო მზაობის ჯგუფებში დასაქმებულია 16 აღმზრდელ-პედაგოგი.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში არსებული 43 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 7, სოფლად – 36, მათ შორის 12 – მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელში). სკოლებში 4847 მოსწავლე (მათ შორის 638 – მთაში), 848 მასწავლებელი, მათ შორის 31 – სპეციალური მასწავლებელია. 203 მასწავლებელი მუშაობს მთიან სოფლებში. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 103 სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის:** 2019 წელს **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით,** ქ. ჭიათურის №1 საჯარო სკოლას 33 კომპიუტერი გადაეცა; **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 34 სკოლის (101 მიმართულება) 1753 მოსწავლე სარგებლობს (2018-2019 ს/წ I სემესტრ. ). **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 2019 წელს, 3 საჯარო სკოლას 25 კომპიუტერი გადაეცა. **ოპერირებისა და მოვლა პატრონობის პროგრამა** („ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“) ხორციელდება 1 საჯარო სკოლაში. **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 2017-2020 წლებში, 82 პროექტი დაფინანსდა და ფინანსურად 140 აქტივობა წახალისდა. 2019-2021 წლებში **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები,** მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების სისტემები („ახალი სკოლის მოდელი“) დაინერგა 11 საჯარო სკოლაში, მათ შორის 8-ში – 2021 წელს. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღიჭურვა 6 საჯარო სკოლა და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 83 პროექტი განხორციელდა. **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით 1** საჯარო სკოლა აღიჭურვა. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 2914 კომპიუტერი გადაეცათ (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 1329); კლასის დამრიგებლებს – 233 ( მათ შორის 99 – 2017-2019 წლებში). იმავე წლებში პორტაბელური კომპიუტერებით დასაჩუქრდა 221 წარჩინებული მოსწავლე (მათ შორის 144 – 2017-2019 წლებში). 2013-2019 წლებში, ჭიათურაში, ჯამში, 235 ოქროს **და ვერცხლის** მედალოსანი გამოვლინდა (მათ შორის, 2018-2019 წლებში – 60 ოქროს და 23 ვერცხლის მედალოსანი).

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** ჭიათურის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 56 პროექტი განხორციელდა. იმავე პერიოდში, ასევე განხორციელდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 73 პროექტი. მუნუციპალიტეტში 29 ადაპტირებული სკოლაა. ცენტრალური გათბობით 17 სკოლაა აღჭურვილი.

**2013-2020 წლებში**: სოფელ ნავარძეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 213,1 ათასი ლარი დაიხარჯა; შუქრუთის №1 საჯარო სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაციას კი 198,5 ათასი ლარი მოხმარდა; ხრეითის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 133,3 ათასი ლარი დაიხარჯა; ხრეითის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია 77,6 ათასი ლარით დაფინანსდა; განხორცილდა: ქ. ჭიათურის №5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (18,4 ათასი ლარი), წყალშავის სკოლის რეაბილიტაცია (130,1 ათასი ლარი), ზოდის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (67 ათასი ლარი). იმავე წლებში განხორციელდა: ქვაციხის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 41,6 ათასი ლარი; რცხილათის საჯარო სკოლის რემონტი – 57,1 ათასი ლარი; ითხვისის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 94,7 ათასი ლარი; მერევის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 149,6 ათასი ლარი; სოფელ მანდაეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 163 ათასი ლარი; ჭიათურის №1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია – 1 მლნ 776,2 ათასი ლარი; ჭიათურის №7 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 239,4 ათასი ლარი; გეზრულის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 188 ათასი ლარი; ნიგოზეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 155,4 ათასი ლარი; პერევისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 150,8 ათასი ლარი; ხალიფაურის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 139,6 ათასი ლარი. **2016-2020 წლებში** ქვედა ჭალოვნის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 63,8 ათასი ლარი დაიხარჯა; 2013-2021 წლებში, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით, განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები ქ. ჭიათურისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლების ყველა საჯარო სკოლაში.

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს,** 22 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 835,9 ათასი ლარი დაიხარჯა. სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა: ეწერის, კაცხის, მანდაეთის, მერევის, ნავარძეთის, პერევისის, ტყემლოვანას, ქვედა ბერეთისის, ჩხირაულის, წირქვალის, ჭიათურის №1, ჭიათურის №2, ჭიათურის №4, ჭიათურის №5, ხალიფაურის, ხრეითის საჯარო სკოლებში. **დასრულდა:** ქ. ჭიათურის №1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია – სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა, შემოღობვა, სატუმბი სადგურის მშენებლობა, სპორტული მოედნის მოწყობა (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია – MCC-ის დაფინანსებით) – 187, 3 ათასი ლარი. მანდაეთის საჯარო სკოლის შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე 50, 3 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2019 წელს** სრულად გამოიცვალა კაცხის საჯარო სკოლის გადახურვა (86 ათასი ლარი). ქ. ჭიათურის №12 საჯარო სკოლის რეაბილიტაციას 25, 1 ათასი ლარი მოხმარდა; ტყემლოვანას საჯარო სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე 22 ათასი ლარი დაიხარჯა. **აშენდა 2 ახალი სკოლა** სოფელ რგანსა (150 მოსწავლეზე გათვლილი, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით – 2 მლნ 295,7 ათასი ლარი) და სოფელ მეჩხეთურში 60-ბავშვიანი საჯარო სკოლის მშენებლობა – 1 მლნ 264 ათასი ლარი.

**2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციის, გათბობის სისტემების მოწყობისა და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოების 29 პროექტის განხორციელებაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 1 მლნ 78,9 ათასი ლარი დაიხარჯა. 2021 წელს დაფინანსებულია სოფელ ხალიფაურის საჯარო სკოლის შენობის სახურავის რეაბილიტაცია (54,6 ათასი ლარი).

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან, **სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა ხარაგაული და ხონი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა 12 სტუდენტი, 2019-2020 ს/წელს – 12 სტუდენტი, 2020-2021 ს/წელს – 12 სტუდენტი. ასევე, გამყოფი ხაზის პროგრამით, 2020-2021 ს/წელს დაფინანსდა 15 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ჭიათურაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: 2021 წელს უნდა დასრულდეს ტყემლოვანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (საკლასო ოთახების რემონტი, სველი წერტილებისა და პანდუსის მოწყობა) – 523 ათასი ლარი; ხალიფაურის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 91, 6 ათასი ლარი; დაგეგმილია ქვედა ჭალოვანის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია – 1 მლნ 549, 9 ათასი ლარი; გაგრძელდება ქ. ჭიათურის №12, მანდაეთის, ეწერის, ბერეთისის, წირქვალის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**


ქიათურის კულტურის სახლი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა; გივი თხელიძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა; სამხატვრო სკოლა; ცენტრალური ბიბლიოთეკა (ცენტრალური ბიბლიოთეკის დაქვემდებარებაში შემავალი 28 ბიბლიოთეკა, მათგან 7 – ქ. ქიათურაში, 21 – სოფლებში: ეწერი, კაცხი, თაბაგრები, წირქვალი, მანდაეთი, ბერეთისა, ნიგოზეთი, ითხვისი, სვერი, ცხრუკვეთი, 3 ხრეითში, აქედან ერთი – იუსტიციის სახლში, ზოდი, დარკვეთი, მორძგვეთი, ხვაშითი, თვალუეთი, ქვაციხე, პერევისა და რცხილათი), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შალვა ნუცუბიძის სახლ-მუზეუმი, გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი, და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი; ფოლკლორული ანსამბლი „ჩანგი“, თოჯინების თეატრი, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, კულტურის მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 2 მლნ 39,3 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის კი შესაბამისი მაჩვენებელი 395,5 ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** ტარდება თემატური ღონისძიებები, ეწყობა პერსონალური გამოფენები, საანგარიშო და საჩვენებელი კონცერტები, იმართება რეგიონული და რესპუბლიკური კონცერტები, ფესტივალები, ტრადიციული თარიღებისადმი მიძღვნილი თემატური საღამოები და სხვ. კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები. იმავე წლებში გაიმართა 100-ზე მეტი კულტურული ღონისძიება, მათ შორის, „ქიათურობა 2014“, საზეიმოდ აღინიშნა კაცხის ღვთისმშობლის შობის მონასტრის 1000 წლისთავი; კომპოზიტორისა და მომღერლის მამია ხატელიშვილის ვარსკვლავის გახსნა; რესპუბლიკური საფორტეპიანო კონკურსი (ყოველ ორ წელიწადში); წარმატებული ქალბატონებისა და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოება (ყოველწლიურად); საახალწლო ღამეები; თოჯინების ფესტივალი „კიკინები – 2016“ (საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდა 8 კოლექტივი); ღვაწლმოსილ ხელოვანთა საღამო. იმავე პერიოდში აღდგა საესტრადო ანსამბლი, ქიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა ორჯერ ზედიზედ მოიპოვა გრანპრი იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე. მუნიციპალიტეტში გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი.

**2015 მოეწყო** აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო; **2016 წელს** დაიწყო და 2018 წლისათვის დასრულდა შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი ხელნაწერი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის წარდგენა საზოგადოებისათვის და, მასთან ერთად, მხატვრული საღამო 2018 წელს მოეწყო.

**2018 წელს** გაიმართა: პოეტისა და დრამატურგის, მარიკა ბარათაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო: „ასი წლის გადმოსახედიდან“; ასი წლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონ გალინა დეკანოიძის საიუბილეო საღამო; დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება: „გაჩუქებ ღიმილს თბილსა და კეთილს“ და სხვ.

**2019 წელს** გაიმართა ღონისძიებები: „მხოლოდ სიყვარულს ამოვყვები ცაში ვარსკვლავად...“; „ უფლის სიყვარული სამყაროს ანათებს“, ქიათურელი პოეტების პოეზიის საღამო: „ამღერებული ქნარი“, ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ზეიმი: „მომავლის სხივი შეჰხარის ფესვებს“, გიორგი ლეონიძის საიუბილეო საღამო, „ერი შენი, გახსოვდეს, „დედაენით“ მოვიდა“; ვიქტორინა – „ვინ უკეთ იცის საქართველოს ისტორია“ და სხვ.

**აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში დაიდგა პრემიერები:** „თეთრი თაგვი, შავი თაგვი“, „ბომბი“, „სიზმარა“, „ნოსტრადამუსი“, „მოუხელთებელი“. სპექტაკლი „დიდრო“ წარმოდგენილი იქნა თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე; სპექტაკლი „მოუხელთებელი“ სომხეთში, ქალაქ ვანაძორში, მონაწილეობდა ფესტივაში – „ლორიფესტ 24“ და სხვ.

**2020 წელს განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტები:** „თეატრი და ცხოვრება“ 14 იანვარს, ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით; „წმინდა კეთილმსახური მეფე დავითი“ – დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით; „9 აპრილის ტრაგედიას შეწირული 21 გმირი“ – საქართველოს დამოუკიდებლობას შეწირული გმირების გახსენება; „18 მაისი – მუზეუმის კვირეული“ – მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1918-1924 წლებში; ინფოტური ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის. კოტიას კლდის მღვიმეში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის მულაჟის დამზადება; გზამკვლევის დამზადება ქიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატებით და სხვ.

**2013-2021 წლებში, ქიათურაში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის:**

**2016 წელს** განხორციელდა ცენტრალური ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები და სსიპ ქიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენის პლანშეტის კაპიტალური რემონტი (152,6 ათასი ლარი);

**2016-2017 წლებში** კაცხისა და უბისის მონასტრების სარესტავრაციო საკონსერვაციო სამუშაოებზე 414,1 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2019 წელს** კაცხის სვეტის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციას (კელიების მშენებლობა და კაცხის სვეტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა), მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მგფ) 2,2 მილიონი ლარი მოხმარდა. სოფელ ხრეითში ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 26,1 ათასი ლარი დაიხარჯა. ქ. ქიათურის სამ ბიბლიოთეკას (ტოლსტოის, გოგებაშვილისა და 9 აპრილის ქუჩებზე) ჩაუტარდა რემონტი, რაზეც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 47,4 ათასი ლარი დაიხარჯა;

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:** კაცხის ეკლესიის სამრეკლოს სახურავის რეაბილიტაცია (10,5 ათასი ლარი, 2015); კაცხის სვეტის სატრაპეზოს რეაბილიტაცია (19,5 ათასი ლარი, 2015); „ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ აღნიშვნის ფარგლებში, საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი პირველი პუბლიკაციის მომზადება, ქიათურა-ზესტაფონი-ფოთი ინდუსტრიული წრედის განვითარების მაგალითი (სულ – 15 ათასი ლარი); „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)“ – საქართველოდან პროექტში მონაწილეობისთვის შერჩეულია ქიათურა და დუშეთი. პროექტს ახორციელებს ევროსაბჭო, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან კოორდინაციით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უშუალო ჩართულობითა და ხელშეწყობით (სულ – 4,7 ათასი ლარი); „ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ ფარგლებში, ქალაქ ქიათურაში ინდუსტრიული მემკვიდრეობის მართვის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა (10 ათასი ლარი); სსიპ ქიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენის კაპიტალური რემონტი (152,6 ათასი ლარი) და შენობის სარეაბილიტაციო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (474, 9 ათასი ლარი); პერევისას მხატვრობა – კედლის მხატვრობის პირველადი გადაუდებელი გამაგრების სამუშაოები (5 ათასი ლარი); სვერის ციხე – არქეოლოგიური სამუშაოები (20 ათასი ლარი).

**2017 წელს დასრულდა** კაცხის მონასტრისა და უბისის მონასტრების (414,4 ათასი ლარი) სარესტავრაციო საკონსერვაციო სამუშაოები, რომლებიც „ქართუ“ ფონდმა დააფინანსა. **კულტურის სამინისტროს** დაფინანსებით, **2017-2018 წლებში** სვერის ციხეზე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები; 2019-2020 წლებში, განხორციელდა ითხვისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევა და სამაროვანის არქეოლოგია.

**2018-2019 წლებში,** კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ქიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლის შენობას, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 127, 2 ათასი ლარი დაიხარჯა. 2018 წელს დასრულდა ქ. ქიათურის №1 და №2 მუსიკალური სკოლების შენობების სრული რეაბილიტაცია.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ქიათურის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, **2019 წელს** განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„ინდუსტრიული მემკვიდრეობის ქართული გზა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 22,3 ათასი ლარი). ქიათურის მუნიციპალიტეტს ფარავს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“,** რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კომპლექსური სასპორტო სკოლა** (2021 წლის მდგომარეობით, სკოლაში 33 მწვრთნელი და 579 სპორტსმენია გაერთიანებული) და **სპორტული კლუბი** (10 მწვრთნელი, 5-B, 5-C კატეგორიის და 170 სპორტსმენი).

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სპორტის მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 505,5 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 807,3 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ძიუდო, კრივი, მინიფეხბურთი, ტაეკვონდო, მძლეოსნობა, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, წყალბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა, ფეხბურთი.

**აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები:** 2016 წელს 27-ე სპორტული სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 89 რესპუბლიკურ ტურნირზე და მოიპოვეს 65 სხვადასხვა სახის მედალი.

**2013-2016 წლებში,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 2 შიდაჩემპიონატი ჩაატარეს (დაიხარჯა 3,9 ათასი ლარი).

2019 წელს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს იმერეთის ღია ჩემპიონატში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. კერძოდ: გ. სორდიას, ნოდიას, მეტრეველისა და ხაჯალიას სახელობის თასის გათამაშებაში.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტი. მათ შორის:**



**2018 წელს** დასრულდა ქ. ჭიათურაში ნაგუთის სტადიონზე ცხაურების მოწყობა, იაშვილის ქუჩაზე მდებარე მინისტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საცურაო აუზის რეაბილიტაცია; გარე სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა გიორგაძის, ჭავჭავაძის, ნიკოპოლის და ტაბიძის ქუჩებზე; მინისტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები და საცურაო აუზის რეაბილიტაცია.

**2019 წელს** გარე სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები) დაიდგა ქ. ჭიათურის 15 სხვადასხვა ქუჩაზე, რისთვისაც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში, 297,3 ათასი ლრი დაიხარჯა.



ჭიათურის მუნიციპალიტეტში ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიცია

**მიმდინარეობს** სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის 8 პროექტი, რისთვისაც, საერთო ჯამში, 365 ათასი ლარია გამოყოფილი. მათ შორის: აღდგება და მოეწყობა მინისტადიონები ქ. ჭიათურასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში, ახალი სტადიონები აშენდება: ქ. ჭიათურაში, ტაბიძის ქუჩაზე (161 ათასი ლარი, სოფელ ითხვისის ახალ დასახლებაში (44 ათასი ლარი), სოფელ რგანში (48 ათასი); სოფელ ითხვისი 32-ის დასახლებაში (44 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში, მუნიციპალიტეტში დასაქმებული მწვრთნელები იღებენ ფულად დანამატს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას. მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამას სამინისტრო 2018 წლიდან ახორციელებს.

**2020 წელს** მუნიციპალიტეტს გადაეცა საერთაშორისო სტანდარტების საჭიდაო ტატამი და სხვა მცირე სპორტული ინვენტარი (15 ათასი ლარი).

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდობის სფეროში სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ჭიათურის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლის კაპიტალურ რემონტზე 177,2 ათასი ლარი დაიხარჯება;
- 2022-2025 წლებში, კაცხის ეკლესიის კვლევაზე (შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით) 60 ათასი ლარი დაიხარჯება. პროექტს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) დააფინანსებს;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

41

# გივი მოდებაძე

## ქიათურის მერად



განვითარება ყველა რეგიონს

# ჩემო ქვირფასებო!

ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, კიდევ ერთხელ წარმოვადგენდე მმართველი პარტიის მერობის კანდიდატს ქიათურის მუნიციპალიტეტში, ქალაქში, 100-წლიანი ისტორიით, რომლის დაარსება ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – აკაკი წერეთლის სახელს უკავშირდება.

ქიათურის მუნიციპალიტეტი სრულიად გამორჩეული და უნიკალურია, აქ განვითარების უდიდესი პოტენციალია.

ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ბოლო წლების განმავლობაში, უამრავი სასიკეთო პროექტი განახორციელა. მმართველი პარტია უამრავ ადამიანს დაუდგა მხარში და მათი ყოველდღიურობა იმაზე უკეთესი გახადა, ვიდრე აქამდე იყო, თუმცა წინ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და გამოწვევაა, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით, ეტაპობრივად უნდა გადავჭრათ.

მე, გივი მოდებაძე, თითოეულ ქიათურელს გპირდებით, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ, მაქსიმუმს გავიღებ ჩვენი მოსახლეობის უკეთესი ხვალინდელი დღისა და ჯანსაღი საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად.

ქიათურა ჩვენი სიამაყეა!

თქვენი თანადგომის იმედი მაქვს და მჯერა, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერის ან მხარდამჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერის ან მხარდამჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.